

Policy Paper Nr. 17

ანგარიშები, ანალიზი, რეკომენდაციები



ზრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ფარგლებში დონორთა ფინანსური დახმარების ასახვა საქართველოს 2008 და 2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებში

ვლადიმერ პაპავა



ანგარიში მომზადდა კოალიცია
„გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში



| | |
|--|----|
| პროექტის შესახებ..... | 2 |
| შესავალი..... | 2 |
| საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ფარგლებში დონორთა დახმარების ასახვის ანალიზი..... | 5 |
| საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) გრანტის ასახვის ანალიზი..... | 13 |
| საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ფარგლებში დონორთა დახმარების ასახვის ანალიზი | 18 |
| დასკვნები/რეკომენდაციები | 26 |

პროექტის შესახებ

წინამდებარე ანგარიში მომზადდა ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ შიდა პროექტის ფარგლებში, ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი განხორციელდა კოალიცია „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში, რომლის დამფუძნებელი და წევრი ორგანიზაციები არიან: „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“, „კვიციას გეორგიკა“, „მწვანე ალტერნატივა“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“. კოალიციის წევრები არიან ასევე დამოუკიდებელ ექსპერტები. კოალიციის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოსთვის დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მიერ დაპირებული ფინანსური დახმარების ეფექტიანობას და გამჭვირვალობას. კოალიციის წევრი ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით.

წარმოდგენილი ანგარიში კოალიციის წევრი ორგანიზაციის „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ და კოალიციის წევრი ექსპერტის ვლადიმერ პაპავას მიერ განხორციელდა.

ანგარიშში მოცემულია ანალიზი, თუ რამდენად ჯეროვნად და გამჭვირვალედ არის ასახული 2008 და 2009 წლების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ბრიუსელის დონორთა კონფერენციის შედეგად საქართველოსთვის გამოყოფილი თანხები.

შესავალი

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შემდეგ, გლობალური ფინანსური კრიზისის გათვალისწინებით საქართველოს წინაშე ახალი ეკონომიკური გამოწვევები დადგა. კერძოდ, ესენია – ომით მიყენებული ეკონომიკური ზარალის ლიკვიდაცია, საბანკო კრიზისის თავიდან აცილება, ინფლაციის შედარებით მაღალი დონის შემდგომი ზრდის პრევენცია, ეროვნული ვალუტის – ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნება.

2008 წლის 22 ოქტომბერს ქ. ბრიუსელში მოწყობილ დონორთა კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საქართველომ ფინანსური დახმარების სახით შეიძლება მიიღოს 4,55 მილიარდი აშშ დოლარ-

რი, საიდანაც 2 მლრდ გრანტია, 2,55 მლრდ კი კრედიტი. საქართველომ ამ დახმარების მიღება დაიწყო 2008 წელს და ეს პროცესი 2010 წლის ჩათვლით უნდა გაგრძელდეს. ამ დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა წავიდეს იმ უშუალო ეკონომიკური ზარალის აღმოსაფხვრელად, რაც საქართველოს რუსული სამხედრო აგრესიის შედეგად მიადგა, ნაწილი კი ქვეყნის ეკონომიკურ რეაბილიტაციას მოხმარდება. რუსული აგრესიის შედეგად კონფლიქტური რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა იძულებულია გასწიოს დამატებითი ხარჯები. უწინარეს ყოვლისა, მთავრობა ამ ადამიანებს დროებით საცხოვრებელ სახლებს უშენებს, რაც ერთის მხრივ ეკონომიკას აცოცხლებს – ჩნდება დამატებითი მოთხოვნა სამშენებლო მასალებზე, საქმდება მუშახელი, მაგრამ მშენებლობაზე განუვლი ხარჯები საბოლოო ჯამში მოკლე ვადიან პერიოდში მაინც ინფლაციურია, რადგანაც ამ სახლებს მთავრობა ყიდულობს და არა კერძო პირები. მიუხედავად ამისა, მთავრობას სხვა არჩევანი არ აქვს.

ომის შემდგომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება შემცირდა, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმითაა გამოწვეული, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში ინვესტორები ცდილობენ უფრო მეტად უსაფრთხო ქვეყნებში განახორციელონ ინვესტიციები ვიდრე ეს რუსული აგრესიის ქვეშ მყოფი საქართველოა. გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში მნიშვნელოვნად შემცირდა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მიერ თავის ნათესავებთან გადმორიცხული ფულადი გზავნილებიც. თუ კი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს უკიდურესად უარყოფითი საგარეო სავაჭირო ბალანსი აქვს, სადაც იმპორტი ექსპორტს ოთხჯერ აღემატება გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას საფრთხე დაემუქრა.

ავისტოს ომის შემდეგ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად Stand-By-ს პროგრამით (Stand-By Arrangement) 750 მლნ აშშ დოლარის კრედიტი გამოუყო, რომლიდანაც 250 მლნ უკვე 2008 წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა ეროვნული ბანკის რეზერვებში. ეს თანხები ზემოხსენებულ 4,5 მლრდ დოლართან ერთად არის იმის გარანტია, რომ საქართველომ თავიდან აიცილოს სავალუტო კრიზისი.

საყურადღებოა, რომ 4,55 მლრდ აშშ დოლარის სრული ოდენობით მიღება დამოკიდებულია იმაზე, თუ, ერთის მხრივ, რამდენად ეფექტიანად და მიზანმიმართულად იქნება ათვისებული უკვე გამოყოფილი თანხები, და მეროეს

მხრივ – თუ რამდენად წარმატებულად გაართმევს თავს საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებათა მომდევნო რაუნდებს დონორ ქვეყნებთან და დონორ ორგანიზაციებთან, მათ მიერ გაცხადებული თანხების მისაღებად.

წინამდებარე კვლევის მიზანია იმის შესწავლა, თუ როგორ იქნა ასახული 2008 და 2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებში ის დახმარება, რომლის შემოღებაც ქვეყანაში უკვე დაწყებულია 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში მოწყობილ დონორთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად. ანალიზის ობიექტია ის, თუ რამდენად ადეკვატურად არის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ის მიზნები, რომელთა მისაღწევადაც დონორმა სახელმწიფოებმა და დონორმა ორგანიზაციებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს დახმარებოდნენ. ამგვარი ანალიზი შემდგომში გაადვილებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვალობაზე ამ დახმარების მიზნობრივი გამოყენების მონიტორინგის პროცესს.

ყურადსაღებია, რომ 4,55 მლრდ აშშ დოლარის დახმარება გათვალისწინებულია, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო (განასკუთრებით საბანკო) სექტორზე. ის დახმარება, რომელიც არ აისახება სახელმწიფო ბიუჯეტში არ წარმოადგენს წინამდებარე კვლევის საგანს.

კვლევის დროს გამოყებული იქნა ბრიუსელის კონფერენციის ფარგლებში დონორთა მიერ ოფიციალურად გაკეთებული განცხადებები საქართველოსადმი ფინანსური დახმარების შესახებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ დონორთა დახმარების მიღების შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები (განთავსებულია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ინტერნეტში <http://www.mof.ge>). ზაზგასამელია ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობის კონსტრუქციულობა ითანამშრომლოს არასამთავრობო სექტორთან სათანადო ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელების მიზნით.

საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ბიუჯეტის ჯონგლმანის განხილვაზე ფაქტობრივად მოხდის დახმარების შესახებ

„საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები 2008 წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ მოხდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ დონორთა მხრიდან საქართველოსათვის დახმარების გამოყოფა მხოლოდ 22 ოქტომბერს გადაწყდა, ჩვენი კვლევის საგანი 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ის კანონია, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა 2008 წლის 25 დეკემბერს, რამეთუ მასში ყველაზე უფრო სრულად უნდა ასახულიყო 2008 წლის განმავლობაში (უფრო ზუსტად კი 2008 წლის ბოლო ორი თვის განმავლობაში) დონორთა მხრიდან გამოყოფილი დახმარებები.


2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ფინანსური დახმარების ასახვის შესწავლისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ დონორთა ხსენებულ კონფერენციამდეც საქართველო იღებდა საგარეო წყაროებიდან გრანტებსა და კრედიტებს, ამიტომ წინამდებარე კვლევაში ასახულია არა ზოგადად ბიუჯეტში შესული ყველა გრანტი და კრედიტი, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში მოწყობილ დონორთა კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით 2008 წლის განმავლობაში დონორთა მხრიდან სულ გამოყოფილ იქნა 795 მლნ აშშ დოლარი, საიდანაც 517 მლნ, ანუ 65 პროცენტი, იყო გრანტი, ხოლო 278 მლნ, ანუ 35 პროცენტი – სესხი (იხ. ნახ. 1). თანაც 795 მლნ აშშ დოლარის საერთო მოცულობიდან 80 პროცენტი უშუალოდ მიღებულ იქნა აშშ დოლარში (636 მლნ აშშ დოლარი), ხოლო 20 პროცენტი ევროში (120 მლნ ევრო)¹.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდაჭერაზე გათვალისწინებული იყო 402,585 მლნ აშშ დოლარი (370 მლნ აშშ დოლარი და 24.5 მლნ ევრო), იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერაზე – 31,92 მლნ აშშ დოლარი (24 მლნ ევრო), საქართველოს ეკონომიკის აღდგენაზე – 390,805 მლნ აშშ დოლარი (213 მლნ აშშ დოლარი და 58.5 მლნ ევრო) და

1 გაცვლითი კურსი ევროსა და აშშ დოლარს შორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაითვალისწინება 1.33-ის დონეზე.

ნახ. 1. 2008 წლის დახმარების სტრუქტურა
(სულ 795 მლნ აშშ დოლარი)




სხვა საჭიროებებზე – 69,158 მლნ აშშ დოლარი (52.4 მლნ აშშ დოლარი და 12.6 მლნ ევრო).

საყურადღებოა, რომ 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სულ გრანტები შეადგენდა 593 მლნ ლარს, საიდანაც საქართველოში 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე უცხო ქვეყნების მთავრობებიდან მისაღები გრანტები (2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მუხლი 2 „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები“) იყო 412,5 მლნ ლარი, ანუ გრანტების მთელი მოცულობის 70,0 პროცენტი (იხ. ნახ. 2).

2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მე-2 თავის („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები“) მე-4 მუხლში („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტები“) ბრიუსელის ზემოხსენებული კონფერენციის გადანყვეტილებით მიღებული გრანტი ასახულია შემოსულობათა კოდი 132-ში („უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებისაგან მისაღები გრანტები“), სადაც დაფიქსირებულია როგორც „საქართველოში 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე უცხო ქვეყნების მთავრობებისაგან მისაღები გრანტები“ და ის უდრის 412,5 მლნ ლარს. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, 2008 წლის ნოემბერში აშშ-ის

ნახ. 2. 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული გრანტების სტრუქტურა (სულ 593 მლნ ლარი)



მხრიდან ბიუჯეტში დახმარების სახით გამოეყო 250 მლნ აშშ დოლარი, რაც გაცვლითი კურსის² გათვალისწინებით არის ზუსტად 412,5 მლნ ლარი. მაშასადამე, სახელმწიფო ბიუჯეტის ზემოხსენებულ შემოსულობათა 132-ე კოდში ფრაზაში „უცხო ქვეყნების მთავრობებიდან მისაღები გრანტები“ ასახულია მხოლოდ აშშ-დან მიღებული გრანტი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად ჰოლანდიამ გრანტის სახით საქართველოს ბიუჯეტს გამოუყო 2,5 მლნ ევრო, მალტამ – 0,01 მლნ ევრო, რაც, სამწუხაროდ, სახელმწიფო ბიუჯეტის მე-2 თავის მე-4 მუხლის ცხრილში ასახული არ არის. ფინანსთა სამინისტროს ცნობით უკრაინის მთავრობამ საბიუჯეტო მხარდაჭერის კუთხით საქართველოს მთავრობას გამოუყო

2 გაცვლითი კურსი ლარსა და აშშ დოლარს შორის გათვლებში გაითვალისწინება 1.65-ის დონეზე, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის მუხლების მიხედვით ეს კურსი ცვალებადია, რაც მთლიანობაში ბიუჯეტის გადასინჯვის პრობლემას წარმოადგენს. პრინციპში ეს გამოწვეულია იმით, რომ საზღვარგარეთიდან ქვეყანაში თანხების შემოსვლა ხდება სხვადასხვა დროს და ბიუჯეტში აისახება იმ მომენტისათვის არსებული გაცვლითი კურსით. შესაბამისად, ბიუჯეტში საზღვარგარეთიდან შემოსული თანხები ხშირ შემთხვევაში ზუსტდება წლის განმავლობაში, რის გამოც ბიუჯეტში შესაბამისი პარამეტრების გათვლა ხდება სხვადასხვა დროს და გაითვალისწინება ის გაცვლითი კურსი, რომელიც მოცემული მომენტისათვისაა ჩამოყალიბებული, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ბიუჯეტში გამოყენებული გაცვლითი კურსების გარკვეულ მრავალფეროვნებას.

10 მლნ აშშ დოლარი. ხსენებულ ცრილში კი დაფიქსირებულია თანხა 14,6 მლნ ლარამდე, რაც ბიუჯეტში გამოყენებული კურსით გადაანგარიშების შემთხვევაში 1,9 მლნ ლარითაა ნაკლები ვიდრე ეს დაფიქსირებულია ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციაში. თანაც ეს თანხა დაფიქსირებულია არა იმ სტრიქონში, რომელსაც ეწოდება „უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობები-საგან მისაღები გრანტები“, არამედ ცალკე სტრიქონში „უკრაინის მთავრობის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი“, რის გამოც იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ უკრაინის მთავრობის მიერ მოცემული გრანტი არ არის უცხო ქვეყნების მთავრობებიდან მისაღები გრანტების ნაწილი.

უფრო მეტი ბუნდოვანებაა მსოფლიო ბანკიდან მიღებულ საბიუჯეტო მხარდაჭერაში. კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს მხარდასაჭერად, როგორც სიღარიბის დაძლევის ღონისძიება, 2008 წელს გამოეყო 40 მლნ აშშ დოლარი. ეს თანხა ამ ოდენობითა და ამ მიზნობრივი დანიშნულებით არ არის ასახული არც გრანტებში (2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მე-2 თავის – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების“ მე-4 მუხლში – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტებში“) და სესხებში (2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მე-4 თავის – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდოს“ მე-11 მუხლში – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება“). ამ უკანასკნელში ზოგადაა დაფიქსირებული მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტი 93,4 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, რაშიც სავარაუდოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ზემო-ხსენებული მხარდაჭერა 40 მლნ აშშ დოლარის (ანუ 66 მლნ ლარი) ოდენობით.

უკეთესადაა ასახული აზიის განვითარების ბანკის მიერ ბიუჯეტის მხარდასაჭერად გამოყოფილი 70 მლნ აშშ დოლარი, რომელიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის მე-4 თავის – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდოს“ მე-11 მუხლში – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილებაში“ 155,4 მლნ ლარის სახით.


ევროკომისიის მიერ მიზნობრივად იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების მშენებლობაზე განეული ხარჯების დასაფინანსებლად გამოყოფილი 10 მლნ ევრო ადეკვატურადაა ასახული 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში. კერძოდ, მისი მე-2 თავის – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების“ მე-4 მუხლში – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტებში“ ეს თანხა გათვალისწინებულია 21 მლნ ლარის სახით.

სულ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით 2008 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტმა უშუალოდ მხარდაჭერის სახით მიიღო 677,1 მლნ ლარი, საიდანაც 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მკაფიოდ არის ასახული მხოლოდ 603,5 მლნ ლარი, ანუ მთელი თანხის 89 პროცენტი, ხოლო 73,6 მლნ ლარი, ანუ 11 პროცენტი, არ არის ჯეროვნად ასახული (იხ. ნახ 3).

ცალკე განხილვის საგანია საქართველოს ეკონომიკის აღდგენაზე გამოყოფილი თანხების ასახვა 2008 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გარკვეული თანხების მიმღები არის უშუალოდ ესა თუ ის კომპანია, და ბუნებრივია ამ თანხების გატარება უშუალოდ ბიუჯეტში არ ხდება.

2008 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დონორების მხრიდან ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცნობით აკუმულირებულ იქნა შემდეგი თანხები:

- ▶ მსოფლიო ბანკის მიერ მუნიციპალური და რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის (2008-2012 წლები) 40 მლნ აშშ დოლარი (66 მლნ ლარი).




▶ აზიის განვითარების ბანკის მიერ მუნიციპალური და რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის (2008-2012 წლები) 40 მლნ აშშ დოლარი (66 მლნ ლარი).

▶ გერმანული KfW-ს მიერ დასავლეთ საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების რეაბილიტაციისათვის (2008-2009 წლები) 6 მლნ ევრო (13,2 მლნ ლარი).

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით 2008 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდში სულ ამ ხაზით აკუმულირებული უნდა იყოს 145,2 მლნ ლარი.

საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მე-5 თავის „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების“ 38-ე მუხლის „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს“ შესაბამისი ცხრილის თანახმად საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში კრედიტებისა და გრანტების სახით დაფიქსირებულია სულ 19,4 მლნ ლარი, რაც ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით მოწოდებული თანხის (145,2 მლნ ლარი) მხოლოდ 13,4 პროცენტს შეადგენს (იხ. ნახ. 4). ეს განსხვავება შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცნობით მუნიციპალური განვითარების ფონდში დონორების

ნახ. 4. 2008 წელს მიღებული გრანტები და კრედიტები მუნიციპალური განვითარების ფონდში



მხრიდან ბრიუსელის კონფერენციის გადანყვეტილებით თანხების აკუმულირება უნდა მოხდეს თანდათანობით უახლოესი წლების განმავლობაში.

გარდა ხსენებულია ფინანსთა სამინისტროს ცნობით მუნიციპალური განვითარების ფონდში მსოფლიო ბანკმა რამოდენიმე სკოლის რეაბილიტაციისათვის გამოყო 15 მლნ აშშ დოლარი (24,75 მლნ ლარი), იაპონიის მთავრობამ არასაპროექტო გრანტის სახით მუნიციპალური და რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის – დაახლოებით 8 მლნ აშშ დოლარი (დაახლოებით 13,2 მლნ ლარი), ხოლო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) აჭარაში, ბაკურიანში, ფოთში, ქუთაისში, ბორჯომსა და წყალტუბოში განსახორციელებელი მუნიციპალური პროექტებისათვის – 18 მლნ ევრო (39,5 მლნ ლარი). ჯამში ეს თანხა შეადგენს 77,45 მლნ ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ გასცემს ინფორმაციას ამ თანხების მიღების შესახებ, ამიტომ 2008 წლის პარამეტრების ანალიზში ეს ინფორმაცია არ არის ასახული. ფინანსთა სამინისტრო მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ამ პროექტების განხორციელება ამჟამად მიმდინარეობს. შენიშვნის სახით აუცილებელია ხაზი გაესვას იმის აუცილებლობას, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდში (და არა მარტო) აკუმულირებულ ყველა თანხას აუცილებელია მიეთითოს ამ თანხის მიღების წელი (წლები).


2008 წელს „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ფონდისათვის დონორების მხრიდან ბრიუსელის კონფერენციის გადანყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცნობით აკუმულირებულ იქნა შემდეგი თანხები: აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციიდან მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პროექტებისათვის (2008-2011 წლები) – 26 მლნ აშშ დოლარი (42,9 მლნ ლარი), ენერგეტიკული მიზნებისათვის (გაზის საცავის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები) (2008-2010 წლები) – 13 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ამ პროგრამის ადმინისტრირება ტექნიკური დახმარებისათვის დამატებით (2008-2011 წლები) – 1 მლნ აშშ დოლარი (ანუ სულ 14 მლნ აშშ დოლარი) (23,1 მლნ ლარი). ჯამში ეს თანხა შეადგენს 66 მლნ ლარს.

საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მე-5 თავის „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების“ 38-ე მუხლის „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს“ შესაბამისი ცხრილის თანახმად „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ფონდში „რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტისათვის“ კრედიტებისა და გრანტების სახით დაფიქსირებულია მხოლოდ 6,2 მლნ ლარი, „ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტისათვის“ 17,4 მლნ ლარი, ხოლო 39-ე მუხლის „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს“ შესა-

ბამისი ცხრილის თანახმად „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ფონდში „გზების რეაბილიტაციის პროექტისათვის“ კრედიტებისა და გრანტების სახით (გზების რეაბილიტაციის პროექტი) დაფიქსირებულია 28,6 მლნ ლარი, რაც ჯამში (52,2 მლნ ლარი) ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით მოწოდებული თანხის (66 მლნ ლარი) მხოლოდ 79 პროცენტს შეადგენს (იხ. ნახ. 5). ეს განსხვავებაც შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცნობით „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ფონდში დონორების მხრიდან ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებით თანხების აკუმულირება უნდა მოხდეს თანდათანობით უახლოესი წლების განმავლობაში.

საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია ისე, რომ პრაქტიკულად ძალზედ გართულებულია 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში მოწყობილ დონორთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებათა თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტში უცხო ქვეყნებიდან შემოსული თანხების სრულად მოძიება, რაც იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომლის თანახმაც ეს თანხები არ არის სრულად დაფიქსირებული, ან (და), უკეთეს შემთხვევაში არ არის ჯეროვნად (სრულად გამჭვირვალედ) ასახული ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში.

ნახ. 5. 2008 წელს მიღებული გრანტები და კრედიტები „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ფონდში



საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აშშ-ის სახითაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ბიზნის ასისტენტის ანგარიში

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მე-2 თავის („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები“) მე-4 მუხლის („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტები“) შემოსულობათა კოდში 132 („უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებისაგან მისაღები გრანტები“) დაფიქსირებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) გრანტი 412,5 მლნ ლარის, ანუ 250 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

ამ გრანტის საქართველოსადმი გამოყოფის ხელშეკრულება დათარიღებულია 2008 წლის 22 ოქტომბრით. გრანტი გამოიყო 2008 წლის რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოს ეკონომიკაზე მიყენებული შოკისადმი სწრაფი რეაგირების მიზნით. ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია, რომ გრანტით მიღებული თანხა საქართველოს მთავრობამ უნდა გამოიყენოს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის და ფისკალური გარღვევის, დეფიციტის შესამცირებლად. ამასთან ერთად ხელშეკრულებით იკრძალება ისეთი ხარჯების განწევა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ტერორიზმის დასაფინანსებლად; ასევე იკრძალება ხსენებული გრანტით სამხედრო ხარჯების პირდაპირი, თუ ირიბი დაფინანსება.

ქვემოთ (იხ. ცხრილი 1) მოყვანილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია ამ გრანტით მიღებული თანხების სხვადასხვა მიმართულებით გამოყენების შესახებ.

როგორც ცხრილიდან ირკვევა საქართველოს მთავრობის მიერ ხსენებული ამერიკული გრანტით მიღებული თანხები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ სოციალური სფეროს დასაფინანსებლად და არა უშუალოდ ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის. ფორმალურად ამგვარი გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში არ მოდის საგრანტო ხელშეკრულებასთან, რამეთუ, როგორც აღინიშნა, გრანტით მიღებული თანხები შეიძლება გამოყენებულ იქნას ფისკალური გარღვევის, დეფიციტის შესამცირებლად. როგორც მოცემული ცხრილიდან ირკვევა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თვლის, რომ ფისკალური გარღვევა მას სწორედ სოციალური სფეროს დაფინანსებაში ექმნება.

ცხრილი 1. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (უშმAID) გრანტით დაფინანსებული საბიუჯეტო ხარჯები³

| № | პროგრამა | პასუხისმგებელი სამინისტრო | თანხა (მლნ ლარაბაში) | თანხა (მლნ აშშ დოლარაბაში) | პროცენტები |
|---|--|--|----------------------|----------------------------|------------|
| 1 | სახელმწიფო პენსიები, სახელმწიფო კომპენსაციები და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიები: სახელმწიფო პენსიები, სტიპენდიები და კომპენსაციები გათავისუფლებული მთავრობის წევრებისა და უმუშევარი მეცნიერებისათვის და აკადემიკოსებისათვის | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 269,5 | 163,3 | 65,3 |
| 2 | ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა: აღნიშნული პროგრამის სახსრები მიიმართება სიღარიბის ზღვარს მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 43,0 | 26,1 | 10,5 |
| 3 | კონფლიქტის შემდეგ ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის დახმარების განწვევა: საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ გადაადგილებული პირებისათვის დახმარების განწვევა | საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო | 10,0 | 6,1 | 2,4 |
| 4 | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება: აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს საჯარო სკოლების დაფინანსებას ვაუჩერის მეშვეობით | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 40,0 | 24,2 | 9,7 |
| 5 | კომპენსაციები და შრომის ანაზღაურება: აღნიშნული სახსრები მიემართება საჯარო მოხელეების შრომის ანაზღაურებაზე, გარდა თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებისა | ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია | 50,0 | 30,3 | 12,1 |
| 6 | სულ | | 412,5 | 250,0 | 100 |

3 ინფორმაცია მიღებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან.

ჩვენი აზრით, გამართლებული იქნებოდა მოცემული გრანტით მიღებული თანხების ნაწილის წარმართვა თუნდაც ე.წ. „იაფი კრედიტის“ პროგრამის დასაფინანსებლად, რითაც საქართველოს მთავრობის მხრიდან გარკვეულწილად დადასტურებული იქნებოდა ამერიკელების მიერ საგრანტო ხელშეკრულებით დაყენებული საკითხი ეკონომიკის სტაბილიზაციის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ.

მორალური თვალსაზრისით განსაკუთრებით გაუმართლებელია 2008 წლის რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოს ეკონომიკაზე მიყენებული შოკისადმი სწრაფი რეაგირების მიზნით მიღებული გრანტის გამოყენება კომპენსაციების გასაცემად გათავისუფლებული მთავრობის წევრებისათვის, ან საჯარო მოხელეების შრომის ანაზღაურების დასაფინანსებლად. რაც შეეხება ე.წ. „უმუშევარ აკადემიკოსებს“, ეს ფრაზა აშკარა გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს, რამეთუ საქართველოს კანონით „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის“ შესახებ საქართველოში აკადემიკოსად იწოდება მხოლოდ ამ აკადემიის ნამდვილი წევრი, რომლებიც აკადემიის წევრობისათვის კანონით დადგენილ საკმაოდ მაღალ გასამრჯელოს იღებენ.

მთლიანობაში საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამერიკული გრანტით მიღებული ფინანსების გამოყენების შესახებ ნაკლებად პასუხობს 2008 წლის რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოს ეკონომიკაზე მიყენებული შოკისადმი სწრაფი რეაგირების მიზანს.

საყურადღებოა იმის შესწავლა, თუ როგორ არის ასახული საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცალკეულ სამინისტროებში ამერიკული გრანტით მიღებული დაფინანსება.

საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 48-ე მუხლით განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები, საიდანაც ირკვევა, რომ სულ ამ სამინისტროსათვის გამოყოფილი კრედიტებისა და გრანტების მოცულობა შეადგენდა 16,614 მლნ ლარს. ამ მუხლის ორგანიზაციული კოდის 35 21 01 – „სახელმწიფო პენსიები, სახელმწიფო კომპენსაციები და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების“ თანახმად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მოცემული დანიშნულებით კრედიტებისა და გრანტების მიღებას არ ითვალისწინებს. იმავე მუხლის ორგანიზაციული კოდის 35 22 01 – „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ თანახმად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის სამინისტრო მოცემული დანიშნულებით კრედიტებისა და გრანტების მიღებას ასევე არ ითვალისწინებს. საყურადღებოა, რომ ორგანიზაციული კოდის 35 22 02 14 – „კონფლიქტურ ზონებში დაზარალებულ მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ თანახმად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მოცემული დანიშნულებით კრედიტებისა და გრანტების მიღებას ასევე არ ითვალისწინებს.

საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 48-ე მუხლით განსაზღვრული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებებში სამინისტროსადმი გამოყოფილი კრედიტები და გრანტები თავმოყრილია ორგანიზაციულ კოდში 35 24 „უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებები“. ამ თანხების განაწილება კი არ მოიცავს იმ მიმართულებებს, რომლებიც ასახულია ფინანსთა სამინისტროს მიერ მონიშნულ ზემოთ მოყვანილ ცხრილში.

იმ შემთხვევაში, თუ 2008 წლის ბოლოს ვერ მოესწრებოდა ამერიკული გრანტის სრულად ათვისება, მაშინ მისი გარკვეული ნაწილი მაინც უნდა გადასულიყო 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში. საყურადღებოა, რომ ზუსტად იგივე სურათია საქართველოს 2009 წლის ბიუჯეტში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებებში სამინისტროსათვის გამოყოფილი კრედიტებისა და გრანტების კუთხით, რაც დამახასიათებელი იყო 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული თანხების მოძიება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებებში 2008 და 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტების მიხედვით შეუძლებელია.

საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 47-ე მუხლით განსაზღვრულია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ასიგნებები, საიდანაც ირკვევა, რომ სულ ამ სამინისტროსათვის გამოყოფილი კრედიტებისა და გრანტების მოცულობა შეადგენდა 587,7 ათას ლარს. საყურადღებოა, რომ ამ სამინისტროს ასიგნებებში საერთოდ არ არის ასახული ის, რაც დაფიქსირებულია ზემოთ მოყვანილ ცხრილში „კონფლიქტის შემდეგ ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის დახმარების განევა: საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად გადაადგილებული პირებისათვის დახმარების განევა“. ზუსტად იგივე სურათია საქართველოს

2009 წლის ბიუჯეტში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ასიგნებებში სამინისტროსათვის გამოყოფილი კრედიტებისა და გრანტების კუთხით. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული თანხების მოძიება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ასიგნებებში 2008 და 2009 წლის სახლმწიფო ბიუჯეტების მიხედვით შეუძლებელია.

საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 45-ე მუხლით განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებები, საიდანაც ირკვევა, რომ სულ ამ სამინისტროსათვის გამოყოფილი კრედიტებისა და გრანტების მოცულობა შეადგენდა 9,069 მლნ ლარს. სყურადღებოა, რომ ორგანიზაციული კოდი 35 24 32 09 01 „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება“ არ ითვალისწინებს ამ მიზნით სამინისტროსათვის კრედიტების და გრანტების გამოყოფას. ზუსტად იგივე სურათია საქართველოს 2009 წლის ბიუჯეტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებებში სამინისტროსადმი გამოყოფილი კრედიტებისა და გრანტების კუთხით. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული თანხების მოძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებებში 2008 და 2009 წლის სახლმწიფო ბიუჯეტების მიხედვით შეუძლებელია.

რაც შეეხება ამერიკული გრანტით მიღებული სახსრების გამოყენებას კომპენსაციებსა და შრომის ანაზღაურებაზე, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცნობით მიიმართება საჯარო მოხელეების შრომის ანაზღაურებაზე, გარდა თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებისა (იხ. ცხრილი), უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავი V-ეს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები“-ს თანახმად კრედიტებიდან და გრანტებიდან შრომის ანაზღაურებაზე ასიგნებების გამოყოფა არ არის გათვალისწინებული. იგივე სურათია 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტშიც (თავი V „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები“). სამწუხაროდ, აღნიშნული თანხების მოძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებებში 2008 და 2009 წლის სახლმწიფო ბიუჯეტების მიხედვით ასევე შეუძლებელია.


ყოველივე ზემოთქმული საქართველოს კონტროლის პალატის წინაშე აყენებს უმნიშვნელოვანეს ამოცანას მოიძიოს თუ რეალურად როგორ გაინერა სახელმწიფო ბიუჯეტში ამერიკული გრანტით მიღებული თანხები და სინამდვილეში რაში იქნა ისინი დახარჯული.

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ბიუჯეტის ხონფერენციამდეც საქართველო იღებდა საგარეო წყაროებიდან გრანტებსა და კრედიტებს. აქედან გამომდინარე წინამდებარე კვლევაში აისახა არა ზოგადად ბიუჯეტში შესული ყველა გრანტი და კრედი- ტი, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში მოწყობილ დონორთა კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან. 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმარ- თებაში ეს საკითხი არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ანუ ღიად რჩება საკითხი იმის შესახებ 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი საზღვარგარეთიდან გრანტებისა და კრედიტების სახით დახმარება მიიღო მხოლოდ ბრიუსელის კონფერენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების ფარგლებში, თუ მის გარეშეც.

ბრიუსელის კონფერენციის ფარგლებში დონორთა მიერ მიღებული გადაწყვე-
ტილებები, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, საქართველოს მთავრობის მხრიდან
საჭიროებს დამატებით მოლაპარაკებებს დონორი სახელმწიფოების მთავრო-
ბებთან და დონორი ორგანიზაციების ხელმძღვანელობასთან, რის საფუძველ-
ზეც საბოლოოდ გადაწყდება მისაღები თანხების ოდენობა და ვადები. ამის
გათვალისწინებით, საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, რომე-
ლიც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2008 წლის 30 დეკემბერს, ასა-
ხულია მხოლოდ ის ფინანსური დახმარება, რომლის მიღების შესაძლებლობა
2009 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობისათვის ცნობილი იყო 2008
წლის ბოლოს. ამ მიზეზის გამო თავიდანვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს
2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ბრიუსელის კონფერენციის ფარგლებ-
ში დონორთა დახმარების ასახვის ანალიზი ვერ იქნება სრულყოფილი. 2009
წლის განმავლობაში თუნდაც იმის გამო, რომ დონორთა მხრიდან მისაღები
თანხების ოდენობისა და ვადების დაზუსტება გარდუვალია, საქართველოს
მთავრობა იძულებული იქნება პერიოდულად მოამზადოს და საქართველოს
პარლამენტს წარუდგინოს საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში
შესატან ცვლილებათა კანონპროექტები.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით 2009 წლის განმავლობაში სავარაუ-

ნახ. 6. 2009 წლის დახმარების სტრუქტურა
(სულ 1859.6 მლნ აშშ დოლარი)



დოდ დონორთა მხრიდან სულ გამოყოფილ იქნება 1859,6 მლნ აშშ დოლარი, საიდანაც 578,8 მლნ, ანუ 31 პროცენტი, უნდა იყოს გრანტი, ხოლო 1280,8 მლნ, ანუ 69 პროცენტი – სესხი (იხ. ნახ. 6). თანაც 1859,6 მლნ აშშ დოლარის საერთო მოცულობიდან 62,8 პროცენტი უშუალოდ მიღებულ იქნა აშშ დოლარში (1168,4 მლნ აშშ დოლარი), ხოლო 37,2 პროცენტი კი ევროში (519,7 მლნ ევრო)⁴.

საყურადღებოა, რომ საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სულ გრანტები შეადგენს 445 მლნ ლარს, საიდანაც საქართველოში 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე უცხო ქვეყნების მთავრობებიდან მისაღები გრანტების გრაფაში (ბიუჯეტის მე-2 თავის – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების“, მე-4 მუხლის – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების“, შემოსულობათა კოდი 132 – „უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებისაგან მისაღები გრანტები“) დაფიქსირებულია ნოლი ლარი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობა 2009 წელს გრანტების სახით ბიუჯეტის უშუალო მხარდაჭერას არ ელის.

⁴ 2009 წლის გაცვლითი კურსი ევროსა და აშშ დოლარს შორის გათვლებში გაითვალისწინება 2008 წლის დონეზე და უდრის 1.33-ს.

ამგვარი ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციასთან, რომლის თანახმადაც 2009 წელს ჰოლანდიის მთავრობა საქართველოს მთავრობას საბიუჯეტო მხარდაჭერის სახით გამოუყოფს 2,5 მლნ ევროს.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მე-2 თავის – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების“, მე-4 მუხლის – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების“, შემოსულობათა კოდი 132-ში ჰოლანდიიდან მისაღები გრანტი სავარაუდოდ გათვალისწინებულია სახელწოდებით „სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობი მეოთხე კრედიტის თანამდევი ჰოლანდიური გრანტი“ 5,8 მლნ ლარის ოდენობით. თუ ვივარაუდებთ, რომ ეს უკანასკნელი იგივეა, რაც ზემოხსენებული 2,5 მლნ ევრო, მაშინ 2009 წელს აშშ დოლარსა და ლარს შორის გაცვლითი კურსი გამოდის 1,74.

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მე-2 თავის – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების“, მე-4 მუხლის – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების“, შემოსულობათა კოდი 131-ში („საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები“) მსოფლიო ბანკიდან მისაღებ გრანტებში დაფიქსირებულია ჩანაწერი „ინკლუზიური რეგიონალური ეკონომიკის განვითარების პროექტის მეშვეობით კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაში სამშვიდობო პროცესების გაძლიერება (ლტოლვილთა განსახლების პროექტი)“, რისთვისაც გამოყოფილია 1,8 მლნ ლარზე მეტი. რადგანაც ეს გრანტი არ არის დაფიქსირებული ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციაში, ის შეიძლება ჩაითვალოს იმის თვალსაჩინო მაგალითად, რომ საქართველოს მთავრობა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაში სამშვიდობო პროცესების გაძლიერების მიზნით ლტოლვილთა განსახლებისათვის მსოფლიო ბანკიდან გრანტის სახით იღებს ორ მილიონ ლარამდე თანხას, რომელიც არ არის დაკავშირებული ბრიუსელის კონფერენციის ფარგლებში დონორთა დახმარებასთან.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით გრანტების სახით ევროკავშირიდან 2009 წელს მნიშვნელოვანი თანხები უნდა შემოვიდეს სახელმწიფო ბიუჯეტში. კერძოდ, ესენია:

მიზნობრივი საბიუჯეტო მხარდაჭერა 2008 და 2009 წლებში იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების მშენებლობისათვის 51,5 მლნ ევრო, რაც სავარაუდოდ ბიუჯეტში ასახულია შემოსულობათა კოდი 131-ში („საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები“) სახელწოდებით „დევენილთა სამოქ-

მედო გეგმის მხარდაჭერა: 2008 წელი II ნაწილი“ 117,6 მლნ ლარის ოდენობით. ამ შემთხვევაში აშშ დოლარსა და ლარს შორის გაცვლითი კურსი გამოდის 1,72.

მაკრო-საფინანსო დახმარება 11,5 მლნ ევრო (ან 26,3 მლნ ლარი). სავარაუდოდ ეს თანხა 2009 წლის ბიუჯეტში არ უნდა იყოს ასახული, რადგანაც ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით ამ თანხასთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები და მისი მიღება შესაძლებელია მოხდეს 2009 წლის ბოლოს. ცნობისათვის 2009 ბიუჯეტის შემოსულობათა კოდ 131-ში („საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები“) ასახულია „სახელმწიფო ფინანსების მართვა“, და უდრის 11,6 მლნ ლარს.

სისხლის სამართლის რეფორმის საბუჯეტო მხარდაჭერა 16 მლნ ევროს (36,6 მლნ ლარის) ოდენობით, რომელიც სამ ტრანშად უნდა იქნეს მიღებული 2009-2011 წლებში. 2009 ბიუჯეტის შემოსულობათა კოდ 131-ში („საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები“) ასახულია „სისხლის სამართალწარმოების რეფორმის მხარდაჭერა“, და უდრის 11,6 მლნ ლარს.

სექტორული პოლიტიკის მხარდამჭერი პროგრამები, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლება, ტექნიკური დახმარება, „თვინინგი“ (TWINNING)⁵, გრანტები, ევროკავშირის მონიტორინგის მისია, მაკრო-საფინანსო დახმარება 172,9 მლნ ევრო (395,5 მლნ ლარზე მეტი). სავარაუდოდ ეს თანხა 2009 წლის ბიუჯეტში არ უნდა იყოს ასახული, რადგანაც ფინანსთა სამინისტროს ცნობით თანხების განერა საჭიროებს დაზუსტებას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცნობით გერმანიის GTZ-ის მხრიდან გამოყოფილია გრანტი იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების პროექტისათვის 8 მლნ ევრო (18 მლნ ლარი), რაც 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასახულია შემოსულობათა კოდი 131-ში („საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები“) სახელწოდებით „იძულებით გადაადგილებულ პირებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა გორში“ და შეადგენს 14,3 მლნ ლარს, ანუ გაცხადებული თანხის 79 პროცენტს. ასიგნებებში ეს თანხა ასახულია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ორგანიზაციულ კოდში 34 12 01 „იძულებით გადაადგილებული პირებისათვის სახლების მშენებლობა გორში (GTZ)“.

5 „თვინინგი“ (TWINNING) არის ევროკავშირის სპეციალური პროგრამა, რომელს თანახმადაც ხდება ევროკავშირის წევრი ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულების ფინანსური დაწყვილება რეციპიენტი ქვეყნის შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებასთან.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით იაპონიის მთავრობისაგან 2009 წლისათვის მისაღება არასაპროექტო გრანტი სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორების შესაძენად დაახლოებით 13,5 მლნ აშშ დოლარის (22,5 მლნ ლარი) ოდენობით. ეს გრანტი არ არის ასახული 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მე-5 მუხლში („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტები“). სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებებში (მუხლი 14) „უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებები“ დაფიქსირებულია თანხა 24 მლნ ლარის ოდენობით, თუმცა აქედან არ ჩანს, რომ ეს თანხა მოიცავს იაპონიის მთავრობისაგან ხსენებულ არასაპროექტო გრანტს სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორების შესაძენად.

თუ 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მსოფლიო ბანკიდან და აზიის განვითარების ბანკიდან მიღებული შეღავათიანი კრედიტები გამიჯნული იყო, 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში რატომღაც ეს ორი წყარო გაერთიანებულია, რაც ზრდის ბიუჯეტის არაგამჭვირვალეობას. კერძოდ, საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მე-4 თავის („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება“) მე-12 მუხლში („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება“) ამ ორი წყაროთი ერთად მისაღები შეღავათიანი კრედიტი დაფიქსირებულია 132,96 მლნ ლარის დონეზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მსოფლიო ბანკიდან 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში შეღავათიანი კრედიტის სახით მისაღება 40 მლნ აშშ დოლარი, და ზუსტად იმდენივეა მისაღები აზიის განვითარების ბანკიდან, ანუ სულ 80 მლნ აშშ დოლარი. 80 მლნ აშშ დოლარისა და 132,96 მლნ ლარის შედარებით გამოდის, რომ ამ კონრეტულ გათვლებში აშშ დოლარის ლარზე გაცვლითი კურსია 1,662, რაც განსხვავდება ზემოთ მოყვანილი გაცვლითი კურსებისაგან, რომლებიც გამოიყენება 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრების გათვლებში, რაც რა თქმა უნდა სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის ნაკლოვან მხარედ უნდა ჩაითვალოს.

ცალკე განხილვის საგანია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის გამოყოფილი თანხების ასახვა 2009 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. აქაც, ისევე როგორც 2008 წლის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გარკვეული თანხების მიმღები არის უშუალოდ ესა თუ ის კომპანია, და ბუნებრივია ამ თანხების გატარება უშუალოდ ბიუჯეტში არ ხდება.

2009 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დონორების მხრიდან ბრიუსელის კონფერენციის გადანყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცნობით აკუმულირებულ იქნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტებისათვის (აჭარა, ბაკურიანი, ფოთი, ქუთაისი, ბორჯომი, წყალტუბო) 18 მლნ ევრო (41 მლნ ლარი), რაც 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში (მუხლი 14 „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები“) ასახულია შემდეგნაირად: ქუთაისისათვის 4,8 მლნ ლარი, ქობულეთისათვის 0,6 მლნ ლარი, ბორჯომისათვის 3 მლნ ლარი, ანუ სულ 8,4 მლნ ლარი. საყურადღებოა, რომ ეს კრედიტი საქართველოს მთავრობას ფინანსთა სამინისტროს ცნობით მისაღები აქვს 2012 წლამდე, რაც სავარაუდოდ უნდა იყოს იმის მიზეზი, თუ რატომ აღმეტება ის 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულ პარამეტრებს.

2009 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდში (მუხლი 14 „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები“) სულ კრედიტები და გრანტები შეადგენს 46,9 მლნ ლარს. აქედან „ინკლუზიური რეგიონალური ეკონომიკის განვითარების პროექტის მეშვეობით კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაში სამშვიდობო პროცესების გაძლიერებაზე“ გათვალისწინებულია 1,8 მლნ ლარი, „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ (KFW) 4,2 მლნ ლარი და აზიის განვითარების ბანკიდან „მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტისათვის“ 13,7 მლნ ლარი. სავარაუდოდ ეს თანხები 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასახულია 2008 წელს დონორების მხრიდან გაკეთებული განაცხადების საფუძველზე, თუმცა ამის შესახებ 2009 წლის ბიუჯეტში სათანადო ინფორმაცია არ არის დაფიქსირებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ფონდისათვის დონორების მხრიდან ბრიუსელის კონფერენციის გადანყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცნობით აკუმულირებულ იქნა შემდეგი თანხები: აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციიდან სამცხე-ჯავახეთის გზების მშენებლობისათვის (2009-2010 წლებისათვის) – 60 მლნ აშშ დოლარი (99 მლნ ლარი), მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პროექტებისათვის (2008-2011 წლებისათვის) – 26 მლნ აშშ დოლარი (42,9 მლნ ლარი), ენერგეტიკული მიზნებისათვის (გაზის საცავის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები) (2008-2010 წლებისათვის) – 13 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ამ პროგრამის ადმინისტრირება ტექნიკური დახმარებისათვის (2008-2011 წლებისათვის) დამატებით – 1 მლნ აშშ დოლარი (ანუ სულ 14 მლნ აშშ დოლარი) (23,1 მლნ ლარი). ჯამში ეს თანხა შეადგენს 165 მლნ ლარს.

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მე-14 მუხლის „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების“ შესაბამის ცხრილში მოცემული ფინანსთა სამინისტროს ასიგნებების თანახმად „ათასწლეულის გამონვევა საქართველოს“ ფონდში კრედიტებისა და გრანტების სახით დაფიქსირებულია 64,8 მლნ ლარი, ხოლო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ასიგნებების თანახმად „ათასწლეულის გამონვევა საქართველოს“ ფონდში კრედიტებისა და გრანტების სახით დაფიქსირებულია 39,2 მლნ ლარი. სულ „ათასწლეულის გამონვევა საქართველოს“ ფონდში კრედიტებისა და გრანტების სახით გათვალისწინებულია 104,0 მლნ ლარი. ამ პარამეტრების შედარება ფინანსთა სამინისტროს ზემოთმოყვანილ ინფორმაციასთან გართულებულია იმის გამო, რომ, როგორც აღინიშნა, დონორებიდან მისაღები თანხები ნაწილდება რამოდენიმე წელზე, ხოლო კონკრეტულად რამდენი იქნება მოზიდული 2009 წელს არ არის მკაფიოდ დაფიქსირებული.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა არის გათვალისწინებული საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტზე. კერძოდ, მსოფლიო ბანკიდან მეორადი და ადგილობრივი გზებისათვის (2009-2010 წლები) 70 მლნ აშშ დოლარი (117 მლნ ლარი), აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალისათვის (სვენეთი-რიკოთი, გვირაბის რეაბილიტაცია) (2009-2011 წლები) 250 მლნ აშშ დოლარი (416 მლნ ლარი), ვაზიანი-გომბორი-თელავის გზისათვის (2009-2010 წლები) 60 მლნ აშშ დოლარი (100 მლნ ლარი).

საქართველოს 2009 წლის ბიუჯეტში „სავაზო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებისათვის“ (კოდი 25 03) კრედიტებისა და გრანტების სახით გათვალისწინებულია 237,1 მლნ ლარი. აქედან „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი I“-სათვის (კოდი 25 03 02 03) 1,15 მლნ ლარი, „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი II“-სათვის (კოდი 25 03 02 04) 52,5 მლნ ლარი, ხოლო „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი III“-სათვის (კოდი 25 03 02 05) 74,9 მლნ ლარი, ანუ სულ აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალისათვის 128,55 მლნ ლარს, რაც მსოფლიო ბანკიდან გამოსაყოფი ზემოხსენებული თანხის (416 მლნ ლარი) 31 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს 2009 წლის ბიუჯეტში „შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი“ (კოდი 25 03 02 06) კრედიტებისა და გრანტების სახით დაფინანსდება 56 მლნ ლარის ოდენობით, რაც მსოფლიო ბანკიდან გამოსაყოფი ზემოხსენებული თანხის (117 მლნ ლარი) 48 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში „ვაზიანი-გომბორი-თელავის პროექტი“ (კოდი 25 03 02 09) კრედიტებისა და გრანტების სახით დაფინანსდება 10,5 მლნ ლარის ოდენობით, რაც მსოფლიო ბანკიდან გამოსაყოფი ზემოხსენებული თანხის (100 მლნ ლარი) 10,5 პროცენტს შეადგენს.

გზების ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის 2009 წლის განმავლობაში მისაღები კრედიტები (2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მე-12 მუხლის „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილების“ შესაბამისი ცხრილის მონაცემები) სრულ შესაბამისობაშია აქ მოყვანილ ხსენებულ ხარჯებთან.

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ბრიუსელის კონფერენციის ფარგლებში დონორთა დახმარების ასახვა ძირითადად ხასიათდება იმავე ნაკლოვანებებით, რაც დამახასიათებელი იყო საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის.

ენახვეზი და ხანოქანდასიუზი

საქართველოს 2008 და 2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებში ბრიუსელის კონფერენციის ფარგლებში დონორთა დახმარების ასახვის ანალიზი გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

ინფორმაცია ბრიუსელის კონფერენციის გადანყვეტილებათა ფარგლებში დონორთა დახმარების შესახებ არის საჯარო და ის ხელმისაწვდომია ინტერნეტში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე, თუმცა მოცემულ ეტაპზე ეს ინფორმაცია არ არის სრულყოფილი, რადგანაც ხშირ შემთხვევაში დეტალურად არ არის განერილი დროში. ეს ეხება არა მარტო იმ დახმარებას, რომელიც მომავალში მისაღები, არამედ იმასაც, რომელიც უკვე მიღებულია საქართველოს მთავრობის მიერ.

საქართველოს 2008 და 2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებში ბრიუსელის კონფერენციის გადანყვეტილებათა ფარგლებში დონორთა დახმარება არ არის ჯეროვნად ასახული, რადგანაც ეს დახმარება ყოველთვის არ არის გამიჯნული უცხოეთიდან მისაღები იმ გრანტებისა და კრედიტებისაგან, რომლებიც არ უკავშირდება ამ კონფერენციის გადანყვეტილებებს. ამ ხარვეზის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მე-4 მუხლი და 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მე-5 მუხლი („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტები“). 2008 წლის შემთხვევაში შემოსულობათა კოდი 132-ში („უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებისაგან მისაღები გრანტები“) ჩანანერში „საქართველოში 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე უცხო ქვეყნების მთავრობებისაგან მისაღები გრანტები“ ასახულია მხოლოდ აშშ-დან მიღებული გრანტი, ხოლო 2009 წლის შემთხვევაში კი საერთოდ დაფიქსირებულია ნული ლარი, რაც, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, არ შეესაბამება სინამდვილეს.

ყოველთვის არ არის თანხობრივად ერთმანეთისაგან გამიჯნული ბრიუსელის კონფერენციის გადანყვეტილებათა ფარგლებში დონორთა მხრიდან საქართველოსათვის გამოყოფილი კრედიტები. კერძოდ, 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მსოფლიო ბანკიდან და აზიის განვითარების ბანკიდან მისაღები შეღავათიანი კრედიტები რატომღაც გაერთიანებულია, თუმცა 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სავსებით სამართლიანად იყო გამიჯნული.

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადანყვეტილება ამერიკული გრანტით მიღებული ფინანსების გამოყენების შესახებ ნაკლებად პასუხობს 2008

წლის რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოს ეკონომიკაზე მიყენებული შოკისადმი სწრაფი რეაგირების მიზანს. ამ თანხების საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მოძიება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მონოდეტული ინფორმაციის საფუძველზე პრაქტიკულად შეუძლებელია.

„ათასწლეულის გამონვევა საქართველოს“ ფონდის ხარჯები განერილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ხარჯებში, რაც ართულებს ამ ფონდში თავმოყრილი ხარჯების ერთიანობაში წარმოდგენას.

ხშირ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით დაფიქსირებული დახმარების დასახელება არ შეესაბამება სახელმწიფო ბიუჯეტებში მოცემულ დასახელებას. განსხვავებაა თანხების ოდენობაშიც, რაც შეიძლება გამონვეული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას სხვადასხვა მუხლებში ლარის განსხვავებული გაცვლითი კურსის გამოყენების გამო.

საქართველოს 2008 და 2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებში ბრიუსელის კონფერენციის ფარგლებში დონორთა დახმარების ასახვის ანალიზის საფუძველზე საქართველოს მთავრობამ და კონკრეტულად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიზანშეწონილია სამომავლოდ გაითვალისწინონ შემდეგი:

ინტერნეტში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ბრიუსელის კონფერენციის გადანყვეტილებათა ფარგლებში დონორთა დახმარების შესახებ მოითხოვს დახვეწას: იქ სადაც ეს შესაძლებელია დროში უნდა გაიწეროს თანხები, უნდა დაზუსტდეს დახმარების მიღების ვადები, დახმარება გარდა უცხოური ვალუტისა უნდა დაფიქსირდეს ლარშიც შესაბამისი გაცვლითი კურსის მითითებით. ეს რეკომენდაცია განსაკუთრებით ეხება იმ თანხებს რომლებიც უკვე მიღებულია და ჩარიცხულია სახელმწიფო ბიუჯეტში.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მკაფიოდ უნდა მოხდეს ბრიუსელის კონფერენციის გადანყვეტილებათა ფარგლებში დონორთა დახმარების გამიჯვნა უცხოეთიდან მისაღები იმ გრანტებისა და კრედიტებისაგან, რომლებიც არ არის დაკავშირებული ამ კონფერენციის გადანყვეტილებებთან.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ერთმანეთისაგან თანხობრივად უნდა გაიმიჯნოს ბრიუსელის კონფერენციის გადანყვეტილებათა ფარგლებში დონორთა მხრიდან საქართველოსათვის გამოყოფილი კრედიტები, რათა ზუსტად ჩანდეს, თუ რომელი კრედიტის გამცემი რომელი დონორია.

„ათასწლეულის გამონვევა საქართველოს“ ფონდის ხარჯები უნდა გაერთიანდეს და ამ ფონდის შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე ასახულ უნდა იქნეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ხარჯებში.

აუცილებელია სრულ შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ფარგლებში დონორთა დახმარების შესახებ სახელმწიფო ბიუჯეტში მოცემულ შესაბამის ინფორმაციასთან, რაც გაზრდის ამ დახმარების ბიუჯეტში ასახვის გამჭვირვალებას.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ საქართველოს მთავრობისადმი გამოყოფილი გრანტის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კონტროლის პალატას განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ესაჭიროება იმაზე, რომ გამოავლინოს, თუ რეალურად როგორ გაინერა საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ამერიკული გრანტით მიღებული თანხები და სინამდვილეში რაში იქნა ისინი დახარჯული.

ამ რეკომენდაციების გათვალისწინება აუცილებელია ბრიუსელის კონფერენციის ფარგლებში დონორთა დახმარების უალრესად დიდი მნიშვნელობის გამო და იმ ინტერესის გამო, რომელსაც იჩენენ ქართული საზოგადოება და თავად დონორები დახმარების მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების კუთხით

ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს სერია: ანგარიშები, ანალიზი, რეკომენდაციები
თბილისი, აპრილი 2009

ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“
ჭოველიძის № 10
0108 თბილისი, საქართველო
contact@osgf.ge
www.transparentaid.ge
www.osgf.ge